2023 წ.

# ოპერატიული ინფორმაცია

## 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ (იანვარ-მაისი)

დოკუმენტი მომზადებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის მიერ პარლამენტის საბიუჯეტო ოფისისათვის მიწოდებული ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე

2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის იანვარ-მაისის შესრულების მიმოხილვა სახაზინო სამსახურის ყოველთვიური ანგარიშგების საფუძველზე, საბიუჯეტო ოფისის მიერ გამოქვეყნდება არაუგვიანეს 2023 წლის 26 ივნისისა.

ბიუჯეტის ანალიზის განყოფილება

ელ-ფოსტა: pbo@parliament.ge

საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი

პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი, ივნისი, 2023 წ.

## საქართველოს 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლების შესრულების მიმოხილვა

2023 წლის იანვარ-მაისში სახელმწიფო ბიუჯეტის **შემოსულობების** შესრულება **9,046.4** მლნ ლარს, წლიური გეგმის (21,914.2 მლნ ლარი) 41.3%-ს და 6 თვის გეგმის[1] (9,993.2 მლნ ლარი) 90.5%-ს შეადგენს, წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს კი 1,611.7 მლნ ლარით (21.7%-ით) აღემატება (შემოსავლების მნიშვნელოვანი მატების გავლენით).

**გადასახდელების** შესრულება **8,188.3** მლნ ლარს, წლიური გეგმის (21,880.1 მლნ ლარი) 37.4%-ს და 6 თვის გეგმის (10,002.0 მლნ ლარი) 81.9%-ს აღწევს, ხოლო წინა წლის იანვარ-მაისის მაჩვენებელს 1,007.8 მლნ ლარით (14.0%-ით) აჭარბებს.

2014-2023 წწ.შემოსულობებისა და გადასახდელების 5 თვის შესრულების მაჩვენებლები წლიურ გეგმებთან მიმართებით (მლრდ ლარი, %)




შესაბამისად, იანვარ-მაისში სახელმწიფო ბიუჯეტში მიღებული შემოსულობების და გადასახდელების შესრულების გათვალისწინებით, **ნაშთის ცვლილება** (დაგროვება) **858.0** მლნ ლარს შეადგენს. წლის დასაწყისისათვის დაზუსტებული ნაშთის მოცულობამ შეადგინა 1,247.5 მლნ ლარი, ხოლო 2023 წლის პირველი ივნისისთვის კი ნაშთი განისაზღვრა 2,105.5 მლნ ლარის ოდენობით.

2014-2023 წწ. 5 თვის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება (მლნ ლარი)




რაც შეეხება **შემოსულობების შესრულებას კომპონენტების მიხედვით,** 6 თვის გეგმის მიმართ შესრულების მაღალი მაჩვენებელი აქვს შემოსავლებს (92.5%), ვალდებულებების ზრდის კომპონენტი კარგი შესრულებით ხასიათდება (82.3%), ფინანსური აქტივების კლების კომპონენტი გამოირჩევა შედარებით დაბალი შესრულების დონით (76.1%), ხოლო არაფინანსური აქტივების კლების კომპონენტის შესრულება - 6 თვის გეგმის მხოლოდ 34.8%-ია.

**გადასახდელების კომპონენტებთან დაკავშირებით,** ხარჯებისა და ფინანსური აქტივების ზრდის კომპონენტები კარგი შესრულებით გამოირჩევა (6 თვის გეგმის შესაბამისად, 81.6% და 84.3%), შესრულების შედარებით მაღალი მაჩვენებელი აქვს არაფინანსური აქტივების ზრდის კომპონენტს - 6 თვის გეგმის 87.4%, ვალდებულებების კლების კომპონენტი კი შესრულების შედარებით დაბალი მაჩვენებლით ხასიათდება (71.9%).

| დასახელება | 2023 წლის გეგმა | 6 თვის გეგმა | 5 თვის შესრულება | 5 თვე / 6 თვის გეგმა | დასახელება | 2023 წლის გეგმა | 6 თვის გეგმა | 5 თვის შესრულება | 5 თვე / 6 თვის გეგმა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **შემოსულობები** | **21,914.2** | **9,993.2** | **9,046.4** | **90.5%** | **გადასახდელები** | **21,880.1** | **10,002.0** | **8,188.3** | **81.9%** |
| შემოსავლები | 17,619.9 | 8,518.5 | 7,883.7 | **92.5%** | ხარჯები | 16,335.2 | 7,991.5 | 6,524.0 | **81.6%** |
| არაფინანსური აქტივების კლება | 200.0 | 86.0 | 29.9 | **34.8%** | არაფინანსური აქტივების ზრდა | 3,881.3 | 1,334.2 | 1,166.5 | **87.4%** |
| ფინანსური აქტივების კლება | 450.0 | 158.5 | 120.6 | **76.1%** | ფინანსური აქტივების ზრდა | 445.1 | 91.9 | 77.5 | **84.3%** |
| ვალდებულებების ზრდა | 3,644.3 | 1,230.2 | 1,012.1 | **82.3%** | ვალდებულებების კლება | 1,218.5 | 584.4 | 420.4 | **71.9%** |

[1] 6 თვის გეგმა წარმოდგენილია 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კვარტალური განწერის მიხედვით (ფინანსთა მინისტრის 2022 წლის 29 დეკემბრის №437 ბრძანება)

რაც შეეხება სახელმწიფო ბიუჯეტის **საოპერაციო სალდოსა** და **მთლიან სალდოს,** 2023 წლის იანვარ-მაისში სახელმწიფო ბიუჯეტის საოპერაციო სალდომ შეადგინა **1,359.8** მლნ ლარი, ხოლო მთლიანმა სალდომ - **223.2** მლნ ლარი.




შემოსავლებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ყველაზე დიდი მაჩვენებლის, **გადასახადების** მიმოხილვა, რაზეც იანვარ-მაისში მიღებული შემოსავლების 88.2% და მთლიანი შემოსულობების 76.9% მოდის. კერძოდ, 5 თვეში მიღებული საგადასახადო შემოსავლები 6,956.1 მლნ ლარს, 6 თვის გეგმის 89.9%-ს და წლიური გეგმის 42.7%-ს შეადგენს, ყველა საგადასახადო შემოსავალი 6 თვის გეგმის მიმართ მობილიზების მაღალი დონით ხასიათდება და 83.9%-110.8%-ის ფარგლებში მერყეობს: განსაკუთრებით გამოირჩევა აქციზი, საშემოსავლო და დამატებული ღირებულების გადასახადები (შესაბამისად, 95.8% 92.8% და 86.6%), ხოლო იმპორტისა და სხვა გადასახადების სახით მიღებული შემოსავლები უკვე აჭარბებს შესაბამის საგეგმო მაჩვენებლებს (105.1% და 110.8%). გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით საგადასახადო შემოსავლების მოცულობა 1,191.1 მლნ ლარით (20.7%-ით) არის გაზრდილი, ძირითადად, საშემოსავლო და დამატებული ღირებულების გადასახადების, შესაბამისად 23.0%-იანი და 17.3%-იანი მატების გავლენით.




გადასახდელების ყველაზე დიდი კომპონენტის, **ხარჯების,** შესრულებამ იანვარ-მაისში შეადგინა 6,524.0 მლნ ლარი, 6 თვის გეგმის 81.6% და წლიური გეგმის 39.9%. ცალკეული სახეების მიხედვით ხარჯების შესრულებაში, 6 თვის გეგმასთან მიმართებით, შედარებით მაღალი მაჩვენებელი აქვს პროცენტისა (89.0%) და სოციალური უზრუნველყოფის (85.5%) მუხლებს, კარგი მაჩვენებლით გამოირჩევა სუბსიდიებისა (80.6%) და სხვა ხარჯების (81.7%) მუხლები, ხოლო შედარებით დაბალი შესრულების დონით ხასიათდება შრომის ანაზღაურების (76.8%) საქონლისა და მომსახურების (75.0%) და გრანტების (74.7%) მუხლებით გაწეული ხარჯები. გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით ხარჯების მოცულობა 649.8 მლნ ლარით (11.1%-ით) გაზრდილია, ძირითადად, პროცენტის (169.7 მლნ ლარით), აგრეთვე, სოციალური უზრუნველყოფისა (179.7 მლნ ლარით) და შრომის ანაზღაურების (131.9 მლნ ლარით) მუხლებით გაწეული ხარჯების მატების გავლენით.



# დანართები

## დანართი 1: სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება (მლნ ლარი)

| დასახელება | 2021 წლის 5 თვის შესრულება | 2022 წლის 5 თვის შესრულება | 2023 წლის წლიური გეგმა | 2023 წლის 6 თვის გეგმა* | 2023 წლის 5 თვის შესრულება | 2023 წლის 5 თვის შესრულება / 2023 წლის 6 თვის გეგმა | | 2023 წლის 5 თვის შესრულება / 2022 წლის 5 თვის შესრულება | | 2023 წლის 5 თვის შესრულება წლიურ გეგმასთან მიმართებაში % |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | სხვაობა | % | სხვაობა | %-ული ცვლილება | |
| შემოსულობები | **7,977.2** | **7,434.7** | **21,914.2** | **9,993.2** | **9,046.4** | **-946.8** | **90.5%** | **1,611.7** | **21.7%** | **41.3%** |
| შემოსავლები | **4,704.2** | **6,555.3** | **17,619.9** | **8,518.5** | **7,883.7** | **-634.8** | **92.5%** | **1,328.4** | **20.3%** | **44.7%** |
| **გადასახადები** | **4,245.8** | **5,765.0** | **16,290.4** | **7,735.9** | **6,956.1** | **-779.8** | **89.9%** | **1,191.1** | **20.7%** | **42.7%** |
| საშემოსავლო გადასახადი | 1,326.5 | 1,896.7 | 5,140.0 | 2,515.0 | 2,333.7 | -181.3 | 92.8% | 436.9 | 23.0% | 45.4% |
| მოგების გადასახადი | 552.9 | 886.8 | 2,000.0 | 1,095.0 | 918.5 | -176.5 | 83.9% | 31.7 | 3.6% | 45.9% |
| დღგ | 1,776.4 | 2,266.0 | 6,670.4 | 3,069.9 | 2,657.4 | -412.5 | 86.6% | 391.4 | 17.3% | 39.8% |
| აქციზი | 579.9 | 612.5 | 2,100.0 | 803.0 | 769.5 | -33.5 | 95.8% | 157.0 | 25.6% | 36.6% |
| იმპორტის გადასახადი | 32.0 | 42.3 | 130.0 | 55.0 | 57.8 | 2.8 | 105.1% | 15.5 | 36.6% | 44.4% |
| სხვა გადასახადები | -21.9 | 60.7 | 250.0 | 198.0 | 219.3 | 21.3 | 110.8% | 158.6 | 261.4% | 87.7% |
| **გრანტები** | **218.8** | **193.0** | **279.6** | **122.3** | **131.0** | **8.6** | **107.1%** | **-62.1** | **-32.1%** | **46.8%** |
| **სხვა შემოსავლები** | **239.6** | **597.3** | **1,050.0** | **660.3** | **796.7** | **136.4** | **120.7%** | **199.4** | **33.4%** | **75.9%** |
| არაფინანსური აქტივების კლება | **18.8** | **35.1** | **200.0** | **86.0** | **29.9** | **-56.1** | **34.8%** | **-5.2** | **-14.9%** | **15.0%** |
| ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით) | **37.5** | **35.3** | **450.0** | **158.5** | **120.6** | **-37.9** | **76.1%** | **85.3** | **241.9%** | **26.8%** |
| ვალდებულებების ზრდა | **3,216.7** | **809.0** | **3,644.3** | **1,230.2** | **1,012.1** | **-218.1** | **82.3%** | **203.1** | **25.1%** | **27.8%** |
| საგარეო | 3,573.4 | 536.3 | 2,244.3 | 530.2 | 529.5 | -0.7 | 99.9% | -6.8 | -1.3% | 23.6% |
| საშინაო | -356.7 | 272.7 | 1,400.0 | 700.0 | 482.6 | -217.4 | 68.9% | 209.9 | 77.0% | 34.5% |
| | | | | | | | | | | |
| გადასახდელები | **8,396.9** | **7,180.5** | **21,880.1** | **10,002.0** | **8,188.3** | **-1,813.6** | **81.9%** | **1,007.8** | **14.0%** | **37.4%** |
| ხარჯები | **5,389.6** | **5,874.2** | **16,335.2** | **7,991.5** | **6,524.0** | **-1,467.5** | **81.6%** | **649.8** | **11.1%** | **39.9%** |
| შრომის ანაზღაურება | 670.9 | 722.1 | 2,236.7 | 1,112.1 | 854.0 | -258.1 | 76.8% | 131.9 | 18.3% | 38.2% |
| საქონელი და მომსახურება | 604.3 | 718.1 | 2,025.5 | 1,034.3 | 775.9 | -258.4 | 75.0% | 57.8 | 8.0% | 38.3% |
| პროცენტი | 387.8 | 333.0 | 1,201.0 | 564.6 | 502.7 | -62.0 | 89.0% | 169.7 | 51.0% | 41.9% |
| სუბსიდიები | 267.2 | 275.0 | 927.6 | 440.7 | 355.2 | -85.5 | 80.6% | 80.2 | 29.2% | 38.3% |
| გრანტები | 236.2 | 317.1 | 1,275.8 | 544.6 | 406.8 | -137.8 | 74.7% | 89.7 | 28.3% | 31.9% |
| სოციალური უზრუნველყოფა | 2,442.5 | 2,538.9 | 6,447.9 | 3,179.7 | 2,718.6 | -461.1 | 85.5% | 179.7 | 7.1% | 42.2% |
| სხვა ხარჯები | 780.7 | 970.0 | 2,220.7 | 1,115.5 | 910.9 | -204.6 | 81.7% | -59.1 | -6.1% | 41.0% |
| არაფინანსური აქტივების ზრდა | **731.4** | **876.7** | **3,881.3** | **1,334.2** | **1,166.5** | **-167.6** | **87.4%** | **289.8** | **33.1%** | **30.1%** |
| ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით) | **158.7** | **42.9** | **445.1** | **91.9** | **77.5** | **-14.4** | **84.3%** | **34.6** | **80.7%** | **17.4%** |
| ვალდებულებების კლება | **2,117.2** | **386.7** | **1,218.5** | **584.4** | **420.4** | **-164.0** | **71.9%** | **33.6** | **8.7%** | **34.5%** |
| საგარეო | 2,085.6 | 373.9 | 1,175.6 | 559.5 | 407.7 | -151.8 | 72.9% | 33.9 | 9.1% | 34.7% |
| საშინაო | 31.7 | 12.9 | 42.9 | 24.9 | 12.6 | -12.3 | 50.7% | -0.2 | -1.7% | 29.4% |
| | | | | | | | | | | |
| ნაშთის ცვლილება (+ დაგროვება / – გამოყენება) | **-419.7** | **254.2** | **34.1** | **-8.8** | **858.0** | **823.9** | | **603.9** | | |

* 6 თვის გეგმა წარმოდგენილია 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კვარტალური განწერის მიხედვით (ფინანსთა მინისტრის 2022 წლის 29 დეკემბრის №437 ბრძანება)

## დანართი 2: სახელმწიფო ბიუჯეტის ბალანსი (მლნ ლარი)

| ᲓᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲐ | 2021 ᲬᲚᲘᲡ 5 ᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐ | 2022 ᲬᲚᲘᲡ 5 ᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐ | 2023 ᲬᲚᲘᲡ ᲬᲚᲘᲣᲠᲘ ᲒᲔᲒᲛᲐ | 2023 ᲬᲚᲘᲡ 6 ᲗᲕᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲐ* | 2023 ᲬᲚᲘᲡ 5 ᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐ | 2023 ᲬᲚᲘᲡ 5 ᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐ / 2023 ᲬᲚᲘᲡ 6 ᲗᲕᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲐ | | 2023 ᲬᲚᲘᲡ 5 ᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐ / 2022 ᲬᲚᲘᲡ 5 ᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐ | | 2023 ᲬᲚᲘᲡ 5 ᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐ ᲬᲚᲘᲣᲠ ᲒᲔᲒᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲔᲑᲐᲨᲘ % |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | ᲡᲮᲕᲐᲝᲑᲐ | % | ᲡᲮᲕᲐᲝᲑᲐ | %-ᲣᲚᲘ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲐ | |
| **ᲨᲔᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲑᲘ** | **4,704.2** | **6,555.3** | **17,619.9** | **8,518.5** | **7,883.7** | **-634.8** | **92.5%** | **1,328.4** | **20.3%** | **44.7%** |
| გადასახადები | 4,245.8 | 5,765.0 | 16,290.4 | 7,735.9 | 6,956.1 | -779.8 | 89.9% | 1,191.1 | 20.7% | 42.7% |
| გრანტები | 218.8 | 193.0 | 279.6 | 122.3 | 131.0 | 8.6 | 107.1% | -62.1 | -32.1% | 46.8% |
| სხვა შემოსავლები | 239.6 | 597.3 | 1,050.0 | 660.3 | 796.7 | 136.4 | 120.7% | 199.4 | 33.4% | 75.9% |
| **ᲮᲐᲠᲯᲔᲑᲘ** | **5,389.6** | **5,874.2** | **16,335.2** | **7,991.5** | **6,524.0** | **-1,467.5** | **81.6%** | **649.8** | **11.1%** | **39.9%** |
| შრომის ანაზღაურება | 670.9 | 722.1 | 2,236.7 | 1,112.1 | 854.0 | -258.1 | 76.8% | 131.9 | 18.3% | 38.2% |
| საქონელი და მომსახურება | 604.3 | 718.1 | 2,025.5 | 1,034.3 | 775.9 | -258.4 | 75.0% | 57.8 | 8.0% | 38.3% |
| პროცენტი | 387.8 | 333.0 | 1,201.0 | 564.6 | 502.7 | -62.0 | 89.0% | 169.7 | 51.0% | 41.9% |
| სუბსიდიები | 267.2 | 275.0 | 927.6 | 440.7 | 355.2 | -85.5 | 80.6% | 80.2 | 29.2% | 38.3% |
| გრანტები | 236.2 | 317.1 | 1,275.8 | 544.6 | 406.8 | -137.8 | 74.7% | 89.7 | 28.3% | 31.9% |
| სოციალური უზრუნველყოფა | 2,442.5 | 2,538.9 | 6,447.9 | 3,179.7 | 2,718.6 | -461.1 | 85.5% | 179.7 | 7.1% | 42.2% |
| სხვა ხარჯები | 780.7 | 970.0 | 2,220.7 | 1,115.5 | 910.9 | -204.6 | 81.7% | -59.1 | -6.1% | 41.0% |
| **ᲡᲐᲝᲞᲔᲠᲐᲪᲘᲝ ᲡᲐᲚᲓᲝ** | **-685.4** | **681.1** | **1,284.7** | **527.0** | **1,359.8** | **832.8** | **258.0%** | **678.7** | **99.6%** | **105.8%** |
| **ᲐᲠᲐᲤᲘᲜᲐᲜᲡᲣᲠᲘ ᲐᲥᲢᲘᲕᲔᲑᲘᲡ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲐ** | **712.5** | **841.6** | **3,681.3** | **1,248.2** | **1,136.6** | **-111.5** | **91.1%** | **295.0** | **35.1%** | **30.9%** |
| ზრდა | 731.4 | 876.7 | 3,881.3 | 1,334.2 | 1,166.5 | -167.6 | 87.4% | 289.8 | 33.1% | 30.1% |
| კლება | 18.8 | 35.1 | 200.0 | 86.0 | 29.9 | -56.1 | 34.8% | -5.2 | -14.9% | 15.0% |
| **ᲛᲗᲚᲘᲐᲜᲘ ᲡᲐᲚᲓᲝ** | **-1,397.9** | **-160.5** | **-2,396.6** | **-721.1** | **223.2** | **944.3** | **-30.9%** | **383.6** | **-239.1%** | **-9.3%** |
| **ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲣᲠᲘ ᲐᲥᲢᲘᲕᲔᲑᲘᲡ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲐ** | **-298.5** | **261.8** | **29.2** | **-75.4** | **814.9** | **890.2** | **-1081.1%** | **553.1** | **211.3%** | **2790.3%** |
| **ᲖᲠᲓᲐ** | **158.7** | **297.0** | **479.2** | **91.9** | **935.5** | **843.6** | **1018.1%** | **638.5** | **214.9%** | **195.2%** |
| ვალუტა და დეპოზიტები | 0.0 | 254.2 | 34.1 | 0.0 | 858.0 | 858.0 | | 603.9 | 237.6% | 2516.0% |
| სესხები | 158.7 | 42.9 | 445.1 | 91.9 | 76.3 | -15.5 | 83.1% | 33.5 | 78.1% | 17.2% |
| აქციები და სხვა კაპიტალი | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 1.1 | 1.1 | | 1.1 | | |
| **ᲙᲚᲔᲑᲐ** | **457.2** | **35.3** | **450.0** | **167.3** | **120.6** | **-46.6** | **72.1%** | **85.3** | **241.9%** | **26.8%** |
| ვალუტა და დეპოზიტები | 419.7 | 0.0 | 0.0 | 8.8 | 0.0 | -8.8 | 0.0% | 0.0 | | |
| სესხები | 37.5 | 34.5 | 450.0 | 158.5 | 120.6 | -37.9 | 76.1% | 86.1 | 249.5% | 26.8% |
| აქციები და სხვა კაპიტალი | 0.0 | 0.8 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | | -0.8 | -100.0% | |
| **ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲐ** | **1,099.4** | **422.2** | **2,425.8** | **645.8** | **591.7** | **-54.1** | **91.6%** | **169.5** | **40.1%** | **24.4%** |
| **ᲖᲠᲓᲐ** | **3,216.7** | **809.0** | **3,644.3** | **1,230.2** | **1,012.1** | **-218.1** | **82.3%** | **203.1** | **25.1%** | **27.8%** |
| საშინაო | -356.7 | 272.7 | 1,400.0 | 700.0 | 482.6 | -217.4 | 68.9% | 209.9 | 77.0% | 34.5% |
| საგარეო | 3,573.4 | 536.3 | 2,244.3 | 530.2 | 529.5 | -0.7 | 99.9% | -6.8 | -1.3% | 23.6% |
| **ᲙᲚᲔᲑᲐ** | **2,117.2** | **386.7** | **1,218.5** | **584.4** | **420.4** | **-164.0** | **71.9%** | **33.6** | **8.7%** | **34.5%** |
| საშინაო | 31.7 | 12.9 | 42.9 | 24.9 | 12.6 | -12.3 | 50.7% | -0.2 | -1.7% | 29.4% |
| საგარეო | 2,085.6 | 373.9 | 1,175.6 | 559.5 | 407.7 | -151.8 | 72.9% | 33.9 | 9.1% | 34.7% |
| **ᲑᲐᲚᲐᲜᲡᲘ** | **0.0** | **0.0** | **0.0** | **0.0** | **0.0** | **0.0** | | **0.0** | | |